ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N18

ქ. ლანჩხუთი 30. 12. 2024 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თედორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები გიორგი ჩახვაძე და ვერიკო კვირკველია, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

მოწვეული სტუმრები: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით, რათა დროულად იქნას გადაწყვეტილი მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებაში მიმდინარე წლის 26 დეკემბრის მთავრობის განკარგულებით შესული ცვლილებების შედეგად მუნიციპალიტეტს გამოეყო 1119486 ლარი, რომელიც მიიმართება

ქ.ლანჩხუთში ბაგრატიონის, ბესიკის, გოგიჩაიშვილის, ებრალიძის, თამარ მეფის, (პირველი ეტაპი) რ.ებრალიძის, საფო მგელაძის ჩაჩავას და ხოფერიას ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოების დაფინანსებაზე 816348 ლარი, ქ.ლანჩხუთში გურიელის, ნინოშვილის, ურუშაძის და ყაზბეგის ქუჩების რეაბილიტაციაზე 303138 ლარი. აღნიშნული ცვლილებები უნდა აისახოს 2024 წლის ბიუჯეტში.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N21(30.12.2024).

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

30 დეკემბერი 2024 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11⁴⁵	
2	ემზარ თევდორაძე	12⁰⁰	
3	ვერიკო კვირკველია	12⁰⁰	
4	გიორგი ჩახვაძე	10⁵⁵	
5	გიორგი ხელაძე		
6	ალექსანდრე მახათაძე	11⁴⁵	
7	ზაზა წულაძე		
8	კარლო კვიტაიშვილი		
9	გიორგი იმნაიშვილი	11⁴⁵	
10	ია მოქია	11:55	
11	კახაბერ ასკურავა		
12	მაკა მშვიდობაძე		
13	ვლადიმერ ნანაძე	11⁵⁵	
14	კარლო წილოსანი	11⁵⁰	
15	ლოლიტა ურუშაძე	11⁵⁵	
16	ნინო მშვიდობაძე	11⁵⁸	
17	გოგი მორჩილაძე	12⁰⁰	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11³⁵	
19	გიორგი გოგუაძე		
20	გოჩა ჯანაშია		
21	ელისო ჭიჭინაძე	11⁰⁰	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11⁵⁶	
23	კახა თედორაძე	11⁴⁵	

24	დარეჯან ბურჭულაძე		
25	ირმა მგელაძე		
26	გივი ცინცაძე		
27	ჯუმბერ ბლაგიძე		